



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა  
(ფედამინის შეგორები - საქართველო)



# გარეონ და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პარიოდული გამოცხადა. № 2(14) 2011 წლის



შურნალი გამოიცა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს  
ფინანსური უზრუნველყოფით პროექტის „დაკასუფთაოთ საქართველო -  
საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო  
ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ფარგლებში.

## შველითილან საქართველოში

თითქმის ერთი წელია, რაც საქართველოში მიმდინარეობს შვედეთის საერთაშორისო განვითარების საუკეთესოს (sida) მიერ დაფინანსებული პროექტი „დაგაუზუთაოთ საქართველო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“. პროექტს ახორციელებს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოსედვა“. პროექტი მიმართულია მყარ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულებაზე, რათა მოსახლეობის დახმარებით და უშუალო მონაწილეობით შესაძლებელი იქნას ქვეყანაში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გადაჭრა.

თავისთავად, ნარჩენების მართვის გამართული სისტემის შექმნა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. გამომდინარე აქედან, ის მოითხოვს საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობლივ შეთანხმებულ მოქმედებას.

მსოფლიოში ნარჩენების მართვის რამდენიმე ეფექტური მოდელი არსებობს, აქედან ყველაზე წარმატებული შვედეთის გამოცდილებაა. მართალია მას ამისათვის 20 წელი დასჭირდა, მაგრამ დღეს თამამად შეიძლება ითვას, რომ ეს ქვეყანა უპირობო ლიდერია ამ სფეროში და თითოეული მისი მოქალაქე აქტიურადაა ჩართული ნარჩენების შემცირების პროცესებში. ასეთი შედეგის მიღწევა კი, შესაძლებელი გახდა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების ერთიანება და კოორდინირებულმა მუშაობამ.

დღეს, შვედეთში ხელისუფლების მხრიდან მოწესრიგებულია ყველა საკანონმდებლო და ინფრასტრუქტურული საკითხები. მოსახლეობის მიერ დახარისხებული ნარჩენი გროვდება და გადამუშავდება სპეციალურ პუნქტებში და მხოლოდ აპსოლუტურად გამოუყენებელი ნარჩენი გადის ნაგავსაყრელებზე.

- სახელმწიფოს შემუშავებული აქვს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია;
- მოქმედებს 5 800 გადამამუშავებელი სადგური და 650 სპეციალური ცენტრი;
- ეფექტურად ხდება ნარჩენების გარდაქმნა სასარგებლო ენერგიად. ნარჩენების გადამამუშავებელი სპეციალური სადგურებიდან (ინსინირატორები) საათში

მიიღება 14კვ/ტ ენერგია, რომლის 85% გამოიყენება ცენტრალური გათბობისათვის, 25% კი ელექტროენერგიის მისაღებად;

- სპეციალურ ადგილებში დადგმულია სხვადასხვა ფერის (შესაბამისი წარწერებით) კონტეინერები, რომელშიც ხდება მოსახლეობის მხრიდან დახარისხებული ნარჩენების განთავსება;
- ბოლო წლებში დაინერგა ნარჩენების სრულიად ახალი სისტემა, კერძოდ ეს არის მიწისქვეშა კონტეინერები, საიდანაც ნარჩენები ამოაქვთ სპეციალური ვაკუუმ-მანქანებით, რაც უზრუნველყოფს ნარჩენების სრულ იზოლაციას.
- და ბოლოს, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, შვედეთმა ბოლო 10 წლის მანძილზე ინსინირატორებიდან გამოყოფილი ემისიების რაოდენობა 99%-ით შეამცირა.
- შვედეთს იმდენად აქვს დახვეწილი ნარჩენების მართვის პროცესი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ყოველწლიურად 3–4% იზრდება მყარი ნარჩენების რაოდენობა, ნაგავსაყრელებზე გატანილი ნარჩენის რაოდენობა მცირდება – დაახლოებით 30%.



## რა ხდება ნარჩენების მართვის მხრივ საქართველოში?

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი შედეთის შედეგამდე. როგორც ხელისუფლების ასევე, საზოგადოების მხრიდან სერიოზული მუშაობაა ჩასატარებელი, მსოფლიოში აპრობირებული ნარჩენების მართვის სქემების საქართველოში დასანერგად. ამისათვის კი საჭიროა, რომ მთავრობამ და პარლამენტმა იმუშაონ შეთანხმებულად, რათა საზოგადოებრივ აქტიონებს ლოგიკური გაგრძელება მოჰყვეს.

### მოსაწესრიგებელის ბევრი საკითხი და მათ შორის უმთავრესი:

- საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეცულირებს ამ სფეროში არსებულ პრობლემებს;
- თანამედროვე სტანდარტების მქონე ინფრასტრუქტურა (ნაგავსაყრელები, გადამამუშავებელი ქარხნები, შესაბამისი კონტეინერები და ა.შ.);

თუ ამ საკითხების მოგვარებაზე სახელმწიფომ დღესვე არ დაიწყო ზრუნვა, იმ აქტიონებს, რომლებიც მრავლად განხორციელდა პროექტის ფარგლებში არ ექნება გაგრძელება, რაც ძალზედ სამწუხაროა.

პროექტის სამუშაო ჯგუფმა ერთი წლის მანძილზე საქართველოს 63 რაიონში ჩაატარა დასუფთავებისა და შემდგომ ამ ადგილების გამწვანების აქციები, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის – 21 სემინარი. შეხვდა და ინფორმაცია მიაწოდა თბილისისა და რეგიონების ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, შემდეგ საკითხებზე:

- როგორ შეიძლება დახარისხდეს ნარჩენი;
- რა სარგებელი შეიძლება მივიღოთ მეორადად გადამუშავებული ნარჩენებისაგან;
- რა არის ნარჩენების სეპარაცია;
- როგორ შეიძლება შევამციროთ ნარჩენები;
- რა არის კომპოსტი;
- როგორი ნაგავსაყრელები არის უსაფრთხო;

- ჯანმრთელობის რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს არასათანადო ადგილზე მოწყობილმა ან სტიქიურმა ნაგავსაყრელებმა და ა.შ.

ამ მიზნით პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში გამოიცა მრავალი საინფორმაციო ბროშურა, სპეციალური ჟურნალი და დამზადდა სარეკლამო კლიპები, მოძღვნო წლის მანძილზე დაგეგმილია კიდევ უფრო მეტი აქტიონები. პროექტმა მკაფიოდ აჩვენა საზოგადოების მზაობა, აქტიურად ჩაერთოს ქვეყანაში ნარჩენების მართვის პროცესის მოსაწესრიგებლად, მაგრამ მოქალაქეების ძალისხმევა არ არის საკმარისი ამ პრობლემის გადასაჭრელად. აუცილებელია ამ საკითხის საკანონმდებლო უზრუნველყოფა, ვინაიდან ნარჩენების მართვის ძირითადი პრიციპის 3R-ის (Reduce – შემცირება; Reuse – ხელახლი გამოყენება; Recycle – რეციკლირება ანუ გადამუშავება) ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე.

შევდეთის მაგალითმა დაგვანახა, რომ ამის განხორციელება შესაძლებელია. შევდეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, შესაბამისი ტექნოლოგიების ჩვენს ქვეყანაში დანერგვა და ერთობლივი ღონისძიებების გატარება კი შესაძლებელს გახდის ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას. ჩვენი მიზანია, კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ საქართველოს ხელისუფლებას, და რაც მთავარია, თითოეულ მოქალაქეს აქტიურად ჩაერთონ „დაგასუფთაოთ საქართველო“ კამპანიაში, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის სეტემბერში დაგეგმილია გრანდიოზული აქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

**კველამ ერთად დავასუფთაოთ საქართველო მყარი საყოფაცხოვებო ნარჩენებისაგან, რათა მივცეთ საკუთარ თავს იმის შესაძლობლობა რომ ვიცხოვოთ სუფთა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში.**

## ცულის დაბინძურებით გამოწვეული დავალებები

ნარჩენების მართვის პროცესის დარეგულირებაში, ერთ—ერთ უმნიშვნელოვანეს პრობ-ლემას წარმოადგენს დაბინძურებული წყალი. მთელ რიგ სოფლებში მდინარეები და ლელეები გადაქცეულია ნაგავსაყრელად. მცირე მდინარეებისა და ლელეების ნაპირები წარმოადგენენ ანტისანიტარიის წყაროს და სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას. ასევე ძალზედ საშიშია მდინარეების დაბინძურება საწარმოებიდან (მაგ. მადნეული), მიტოვებული და ღია კარიერებიდან. წყლის ნაპირებზე ანტისანიტარია და თავად წყლის დაბინძურება მრავალი საშიში დაავადების გამომწვევია. დაგროვებული და ჩახურებული ნარჩენები კარგი საკვები არეა სხვადასხვა ლპობის ბაქტერიების გამრავლებისათვის. ხშირად არასწორად საზღვრავენ, რომ წყალი თუ სასმელად არ გამოიყენება, მასში მოხვედრილი მავნე მომწავლავი ნივთიერებები არც თუ ისე სახით—ათოა, მაგრამ ეს ასე არ არის. წყალი იხმარება მოსარწყავად, საქონლის დასარწყულებლად, სათევზაოდ, საბანაოდ და ა.შ. ამდენად, დაბინძურებული წყლისგან მიყენებული ზიანი საკმაოდ მაღალ რისკებს შეიცავს და ხშირ შემთხვევაში შეიძლება ლეტალური შედეგიც გამოიწვიოს.

- **დიზენტერია,** მას „ჭუჭუიანი ხელების“ დაავადებას უწოდებენ. დაავადება უფრო ხშირად იწყება შემცივნებით, თავის ტკივილით, საერთო სისუსტით, ტემპერატურის მომატებით, ძლიერი, შეტევითი ხასიათის ტკივილით მუცელში; ზოგჯერ გულისრევითა და ლებინებით; შემდგომში ძლიერი ფალარათით, სისხლიანი და ლორწოიანი განავლით.
- **ქოლერა** – დაავადება შეიძლება გავრცელდეს როგორც წყლით, ასევე სურ-სათითა და საყოფაცხოვრებო-კონტაქტის გზით (უმნიშვნელო როლი) და გამოიწვიოს უმძიმესი დიარეა და გაუწყლოვნება; სხვა ნაწლავთა ინფექციებისაგან განსხვავებით ქოლერა ადვილად ვრცელდება, რაც აიხსნება გარემოში ავადმყოფის მიერ ძალიან დიდი რაოდენობით ვიზრიონის (გამომწვევის) გამოყოფით.
- **სალმონელოზი** - რეგისტრირდება მისი როგორც ერთეული, ისე ჯგუფური შემთხვევები. ადამიანის ინფიცირება ძირითადად ხდება დაბინძურებული სურსათით, შესაძლებელია ძლიერ დაბინძურებული წყლის საშუალებითაც; ახასიათებს შემცივნება, ტემპერატურის მომატება, თავბრუსტვევა, გულის-
- რევა, რომელიც სწრაფად ლებინებაში გადადის, ტკივილი მუცლის არეში, რასაც მალევე ერთვის ფალარათი უხვი, მყრალი სუნის, მომწვანო ან მუქი ყავ-ისფერი სითხის შემცველი განავლით.
- **კირუსული ჰეპატიტი A და B** - ამ დაავადებებს ახასიათებს მსგავსი კლინიკური ნიშნები: დასაწყისში შესაძლებელია განვითარდეს კატარალური ჩივილები: შემცივნება, ტემპერატურის მომატება, სისუსტე, თავის ტკივილი, ხველა, ყელის ტკივილი, შემდეგ გამოვლინდეს: უმადობა, გულისრევა, ლებინება, სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდებებში არეში, შეკრულობა ან ფალარათი, შარდის გამუქება, ღვიძლის გადიდება და სიყვითლე. შეიძლება დაავადება განვითარდეს უსიყვითლო ფორმითაც. აღსანიშნავია, რომ კირუსული ჰეპატიტი A-80% დაბინძურებული სასმელი წყლით არის გამოწვეული.
- სხადასხვა ეტიოლოგის დიარეული დაავადებები, რომელთა კლინიკური ნიშნები მწვავე გასტროენტერალური სახით გამოიხატება.
- **ნაწლავური ჰელმინთოზები** – ნემ-ატოდოზი და ასკარიდოზი, პარაზიტული დაავადება - შისტოსტომოზი და სხვა, რომლებიც ვითარდებიან მიკ-

რომელიც მოხმარებით; რომელიც წყლის მოხმარებით;

- მაღარია და დენგეს ცხელება** – დაავადების განვითარებას ხელს უწყობს დაბინძურებული ღია ავზებსა და წყალსატევებში კოლოების გამრავლება;
- ფლუოროზი** – დაავადება, რომელსაც იწვევს ფლუორის მაღალი კონცენტრაციის სასმელი წყლის მოხმარება. დაავადებას ახასითებს კბილების ემალის ფერის ცვლილებები და ეროზიები, ასეთი წყლის ხანგრძლივი დროით მოხმარებისას ცვლილებები ვითარდება ძვალ-სახსროვან, ნერვულ სისტემასა და ღვიძლში.
- ტყვიით მოწამვლა** – შეიძლება დაფიქსირდეს ისეთი წყლის მოხმარებისას, რომელიც წყალში საწარმოებიდან ჩამოიწყობა. დაავადების მიმდინარეობა შეიძლება გამოიკვეთოს ნერვული და რეპროდუქციული სისტემის და-

ზიანებით, ანემია, თირკმელების პრობლემები, მაღალი არტერიული წნევა. საშიშია ორსული ქალებისთვის - შესაძლებელია გამოიწვიოს ნაყოფის განვითარების პათოლოგიები.

- მეთჰემოგლობინემია** – ამ დაავადების განვითარების ერთ-ერთი მიზეზია ნიტრატების ჭარბი რაოდენობა სასმელ წყალში. რომლის მოხმარებაც იწვევს სისხლში ჰემოგლობინის რაოდენობის შემცირებას; დაავადება ხშირად ვითარდება ბავშვებში, რაც გამოიხატება კანის მოლურჯო-ცისფერი ფერით სახეზე, ხელებზე და ფეხებზე, ვითარდება ე. წ. ცისფერი ბავშვის სინდრომი. ასეთ ბავშვებს აქვთ პრობლემები სუნთქვის მზრივ, შეიძლება გამოვლინდეს ღებინება და დიარეაცი, იშვიათ შემთხვევებში გონების დაკარგვა და კრუნჩხვები.

**ასე, რომ გაუფრთხილდით წყალს, მოერიდეთ მის დაბინძურებას და იცხოვრეთ ჯანმრთელ გარემოში!**

## ნარჩენების გარემოს თანამადროვა ტაქნილოგიები

მთელს მსოფლიოში, მოსახლეობის ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ნარჩენების მართვის პრობლემა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლები ათეულობით წლების ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას და ნარჩენების მართვის სრულყოფისათვის მუდმივად ახალ ტექნოლოგიებს გვთავაზონენ. რამდენიმე წლის წინ, კერძოდ 2005 წელს, იაპონიაში ოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია 3R-ის პრინციპის დანერგვისთან დაკავშირებით. მომდევნო წლის მარტში (2006 წელი) ტოკიოში, შეიკრიბა მსოფლიოს 20-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენლი 3R-ის პრინციპის განსახილველად. შეხვედრაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც შეხვედრაში მონაწილე ქვეყნების მთავრობებს და დაინტერესებულ მხარეებს ავალდებულებს ხელი შეუწყონ 3R-ის პრინციპის დანერგვას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ასევე მის პოპულარიზაციას მსოფლიოში.

ტერმინი - **3R** შესაბამისი სამი სიტყვის (ანუ იმ სამი ქმედებისა, რომელიც ყველაზე მთავარია ნარჩენების მართვის პროცესში) ინი-

**დღეისათვის 3R-ის პრინციპი საფუძვლად უდევს ნარჩენების მართვის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიებს მსოფლიოში.**

ციალებია: **Reduce** – შემცირება; **Reuse** – ხელახლი გამოყენება; **Recycle** – რეციკლირება ანუ გადამუშავება.

**ნარჩენების შემცირება (Reduce)** – გულისმობს, ნაკლების ყიდვას და შესაბამისად ნაკლების მოხმარებას. ნარჩენების შემცირება არის პროცესი ან პოლიტიკა, რომლის დროსაც ხდება ცალკეულ ადამიანთა ან მთლიანად საზოგადოების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შემცირება. სხვანაირად რომ ვთქვათ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შევიძინოთ ოპტიმალური რაოდენობის როგორც პროდუქტი, ასევე სხვა საქონელი, რითაც თავიდან ავიცილებთ ნარჩენების წარმოქმნას და რა თქმა უნდა მის გადაყრას ხევებში, ტყის პირას, მდინარეებში, ქუჩაში და ა.შ. ნარჩენების შემცირების გარდა ამ პროცესში ასევე იგულისხმება

მოხმარებული ენერგიისა და რესურსების შემცირებაც.

**ნარჩენების ხელახალი გამოყენება (Reuse)** – გულისხმობს უკვე მოხმარებული ნივთების მეორად გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს ნივთების იგივე ან სხვა დანიშნულებით გამოყენება. საჭირო და კარგ მდგომარეობაში მყოფი ნივთების გაცვლა ან ხელახალი გამოყენება, მათი ტექნიკოლოგიური გადამუშავების გარეშე ზოგადს დროს, ფულს, ენერგიას და რესურსებს. ხელახალი გამოყენების კლასიკური მაგალითებია: მინის ბოთლების ჩაბარება საწარმოში სადაც მას ხელახლა იყენებენ პროდუქციის ჩამოსასხმელად, ავტომობილების და მათი ნაწილების ხელახალი გამოყენება, მეორადი ტანსაცმლით სარგებლობა და სხვა.

**ნარჩენების რეციკლირება ანუ გადამუშავება (Recycle)** – ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნიკოლოგიების მთავარ კომპონენტად ითვლება და გულისხმობს გამოყენებული ნივთის ან ნარჩენის ტექნიკოლოგიურ გადამუშავებას სხვა პროდუქტად. ამ კომპონენტს უდიდესი ყურადღება ექცეოდა საერთაშორისო დონეზე ჯერ კიდევ, 3R-ის პრინციპის დანერგვამდე. რეციკლირების შედეგად მცირდება ნედლი მასალის ან რესურსის მოხმარება, რაც თავის მხრივ ზოგადს ენერგიას, ამცირებს პაერის და წყლის დაბინძურებას (ნაგავსაყრელებიდან) და ა.შ. დღეისათვის ფართოდ მოხმარებული ნივთების უმეტესობა გადამუშავებას ექვემდებარება. 2003 წელს ევროკავშირში მიღებულია სპეციალური კანონი, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს ავალდებულებს დაახარისხონ კონკრეტული 7 სახის ნარჩენი და გააგზავნონ ისინი შესაბამის ადგილებში რეციკლირებისთვის. ეს მასალებია: ალუმინი, მუჟაო, მინა, ქაღალდი, პლასტმასი, ფოლადი, ხის ნაკეთობა.

ადსანიშნავია, რომ თანამედროვე ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო ხნდება ტერმინი **4R**. რაც გულისხმობს მეორე პრინციპს - **შეცვლას (Replace)**, რომელიც მოგვიწოდებს შევცვალოთ ცელოფნის პარკები ქაღალდით, პლასტმასის ბოთლები და სხვადასხვა ჭურჭელი მინის უურჭლით, არ გამოვიყენით ერთჯერადი მოხმარების საგნები და ა.შ.

სამწუხაროდ, 3R-ის პრინციპის წარმატებით შესრულების დროსაც კი რჩება ისეთი ნარჩენები, რომლებსაც ვერც გადავამუშავებთ და ვერც ხელახლა გამოვიყენებთ. ამიტომ ნარჩენების მართვაში **3R**-ის გარდა დამატებითი კომპონენტიც არსებობს. ყველა ეს კომპონენტი ერთად აღებული ქმნის ე.წ. „ნარჩენების იერარქია“, რომლის საფუძვლი მაინც **3R**-ის პრინ-


ციპია. „ნარჩენების იერარქიის“ მთავარი ამოცანაა, ნარჩენების მართვის შედეგად ადამიანებმა მაქსიმალური პრაქტიკული სარგებელი მიიღონ და მინიმალური ზიანი მიაყენონ გარემოს.

დღეისათვის ნარჩენების იერარქიის ევროპული მოდელი 5 ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: 1. შემცირება; 2. ხელახალი გამოყენება; 3. გადამუშავება; 4. ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად და 5. ნარჩენების განთავსება.

ნარჩენების იერარქიის მეორე კომპონენტია **ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად (Energy Recovery)**, რომელიც გულისხმობს სპეციალური ტექნიკოლოგიების მეშვეობით ნარჩენების თერმულ დამუშავებას/დაწვას, რომლის დროსაც წარმოქმნება სასარგებლო ენერგია. დღეისათვის მიჩნეულია, რომ ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად ნარჩენების მართვის ინტეგრირებული მეთოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, თუმცა გარემოს-დაცვითი თვალსაზრისით ის მაინც ნაკლებად სასურველ კომპონენტად ითვლება. ნარჩენების ენერგიად გარდაქმნის საუკეთესო მაგალითია ნაგავსაყრელებიდან გამომუშავებული ენერგია, რომელიც დასახლებული პუნქტების ცეტრალური გათბობისათვის და ელექტრო-ენერგიის მისაღებად შეიძლება გამოიყენოთ. მსგავსი ქმედებები რეგულირდება შესაბამისი კანონით. უნდა აღინიშნოს რომ, ბევრ ქვეყანაში ნარჩენების თერმული დამუშავება ან დაწვა კანონით იკრძალება, თუკი ამის შედეგად არ გამომუშავდება სასარგებლო ენერგია.

ნარჩენების იერარქიის მეტეთე კომპონენტია **ნარჩენების განთავსება (Disposal)** - გულისხმობს ნარჩენების კანონიერ და კონტროლირებად განთავსებას მიწის ზედაპირზე. ხშირ შემთხვევაში ხდება ნარჩენების დამარხვა, რაც არასწორი ტექნიკოლოგიების შემთხვევაში მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანთა ჯანმრთელობას. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო ნაგავსაყრელის მოწყობა უზარმაზარ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ზოგადად მიჩნეულია, რომ ნაგავსაყრელებზე მხოლოდ იმ სახის ნარჩენი უნდა განთავსდეს, რომლის გადამუშავება არანაირი სახით არ არის შესაძლებელი. ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნარჩენების გრძელვადიანი და საიმედო დაცვა. მისი ოპერირება მკაცრად უნდა კონტროლირდებოდეს შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში.

ნარჩენების იერარქიის მოდელს ამობრუნებული პირამიდის სახით გამოსახავენ. პირამიდის თავში მოთავსებულია ყველაზე მნიშვნელოვანი და სასურველი ქმედება - შემცირება, შემდეგ მეორე პრიორიტეტი - ხელახალი გამოყენება, გადამუშავება და ა.შ.



### ნარჩენების მდგრადი მართვის მოდელი სქემატურად ასე გამოისახება.

ქვემოთ წარმოდგენილ სურათზე ჩანს ნარჩენების მართვის პროცესი. რომელიც ნათლად გამოსახავს ადამიანების მიერ რომელიმე ქალაქში ან ქვეყანაში წარმოქმნილი ნარჩენების საქოთო რაოდენობის შეფარდებას, ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების რაოდენობასთან.

აუცილებელია შემუშავდეს ნარჩენების მართვის ეფექტური გეგმა. რომელიც თავის მხრივ, სამოქმედო გეგმისაგან შედგება და რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ნარჩენების მართვის გეგმის სწორად შემუშავებაზეა დამოკიდებული შემდგომში ნარჩენების მდგრადი მართვა.



#### პირველი რიგი

ნებისმიერი იმაზე მიჰს ვიცრე გულილება, [შეამცირო](#) შენი ნარჩენი

#### მეორეად

თუ ერთ აღარ გულილება წივთი, ყოველნაირად ეცალე მოძებნო მის მეორადი გამოყენება, სანამ გადაადგებ იყიდერ იქნებ ვინმეს ფასჭირებეს ის

#### მესამეად

თუ ერთ მოძებნე წივთის მეორადი გამოყენება, ეცალე მოძებნო მისი გადამუშავების შესაძლებლობები

#### მეორეად

თუ ერთ მოძებნე წივთის გადამუშავების შესაძლებლობები, ეცალე მოძებნო მისგან [ენერგიის შესაძლებლობები](#)

#### მესამეად

მხოლოდ მაშინ განათავსე წივთი ნაგავსაყრელზე, როდესაც მისი გამოყენების ყველა სხვა შენი ამონერელად

ნარჩენების სწორი მართვა საკმაოდ რთული პროცესია და მთავრობისა და მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას მოითხოვს. თანამედროვე მსოფლიოში ნარჩენების მართვის სხვადასხვა წარმატებული სქემა არსებობს, თუმცა არსებობს საკითხები, რომლებსაც თითქმის ყველა სქემა ითვალისწინებს. უპირველეს ყოვლისა

თავსების, გადამუშავებისა და სხვა ქმედებების ტექნოლოგიებს და ვადებს. ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაინტერესებული მხარეების თანამონაწილობას. აუცილებელია ჩატარდეს ფართო მაშტაბიანი საჯარო განხილვები და კონსულტაციები.

## ნარჩენების მდგრადი მართვის ხალხალისათვის კომასტირების მათოდის დანერგვა

### **ცოტა რამ ისტორიიდან**

კომპოსტირების მეთოდი საუკუნეების მანძილზე იყო ცნობილი, თუმცა მე-19 საუკუნეში მისი ჩანაცვლება მინერალურმა სასუქებმა გამოიწვია და ეს მეთოდი მივიწყებულ იქნა.

თავდაპირველად კომპოსტზე, როგორც ორგანული სასუქის მიღების მეთოდზე დასავლეთში დაიწყეს ფიქრი, მოგვიანებით კი ამ იდეას მიმდევრები ამერიკაშიც გამოუჩნდენ.

დღეს კომპოსტირებაში მიმდინარე ყველა ქიმიური და მიკრობიოლოგიური პროცესები ზედმიწევნით არის შესწავლილი და ხორციელდება მისი აქტიური დანერგვა მოსახლეობაში.

## კომპოსტი

### კომასტი - ნიადაგის ნაყოფილების ახალიაბის საუკათასო საშუალება

ინტენსიურ მეურნეობებში უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე არსებითად გაუარესდა ეკოლოგიური სიტუაცია. ქიმიურმა სასუქებმა, პესტიციდებმა, მექანიზაციის ინტენსიურმა გამოყენებამ, ნიადაგების ინტენსიურმა დამუშავებამ და სხვა, განაპირობა ნიადაგის ფიზიკური და ბიოლოგიური დეგრადაცია და გარემოს ქიმიური დაბინძურება სპილენძის, ტყვიის, ცინკის, კადმიუმისა და სხვათა ნაერთებით.

ნიადაგზე ზემოქმედების შედეგად დარღვეულია მისი სტრუქტურა, დაქვეითებულია ჰუმურისა და საკვებ ნივთიერებათა შემცველობა, წარმოქმნილია სახნავი ზოლის ქვედა გამკვრივებული ფენა, გაუარესებულია ნიადაგის ფიზიკური თვისებები - წყალგამტარობა, ტენტევადობა, აერაცია და სხვა. დადგენილია, რომ ასეთი სახის დეგრადირებულ - „გადაღლილ“ ნიადაგებზე მოსავლიანობა დაქვეითებულია საშუალოდ 30-35%-ით.

კომპოსტი ეს მიუთითებს იმას, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მცენარის, ნიადაგის, კლიმატის, აგროტექნიკის ურთიერთქმედების კანონზომიერებები საჭიროებს ახლებურ მიღვინა. საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი „რაც მეტია, მით უკეთესი“ ყოვლად მიუღებელია. ცნობილია, რომ მოსავლის მატების პარალელურად ეცემა პროდუქციის ხარისხი, მაგ: თუ მევენახეობაში აზოტოვან სასუქის მოხმარებას 90-120კგ-ს (მოქმედ ნივთიერებას) შევამცირებო 40-50კგ-მდე, ყურძნის შაქრიანობა საშუალოდ 0,5-1,5%-ით მოიმატებს.

ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლების უმრავის ბუნებრივი საშუალება და მეთოდი არსებობს.



### კომასტი - საუკათასო ორგანიული სასუპია

**კომპოსტირება** - ეს არის საკმაოდ რთული პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ორგანული ნარჩენების, მიკროორგანიზმების, ტენტევადობის და ჟანგბადის ურთიერთზემოქმედების შედეგად. კომპოსტირების პროცესი მიმდინარეობს რამოდენიმე ეტაპად. კერძოდ, მეზოფილური, თერმოფილური, გაციებისა და მომწიფების ეტაპები.

ლპბის ძირითადი პროცესები ორგანული მასის შეაგულები მიმდინარეობს. ამ დროს ძირითადად აქტიურდებიან მიკროორგანიზმები, რომელთა აქტიურობის ფონზე კომპოსტის

შუაგულები ტემპერატურა ცელსიუსით 70 გრადუსს აღწევს. ამ დროს ნადგურდება მავნე ორგანიზმები და მათი კვერცხები. კომპოსტირების შემდგომ ეტაპზე ხდება სოკოების, სხვადასხვა ჭიებისა და სხვადასხვა ორგანიზმების დაშლა. ამ პროცესის გარეგნულ გამოვლინებაზე მეტყველებს კომპოსტის გროვის დაწევა. ამ პროცესების შედეგად მიიღება აზოტით მდიდარი, უხეში, ახალი კომპოსტი. კომპოსტის დამწიფებას კიდევ 2-3 თვე სჭირდება, რომლის დროსაც ჭიაყელების აქტიური

ცხოველმყოფელობის შედეგად კომპოსტი  
იღებს მუქ ფერს და ხდება ფორიანი.

გარდა ამისა, ჭიაყელების აქტიური ცხოველმყოფელობის შედეგად მიიღება ბიოპუმუნები. ბიოპუმუნები - ძვირფასი ორგანული სასუქია. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ბიოპუმუნები:

- ამაღლებს მოსავლიანობას 25-50%-ით;
  - ამცირებს მცენარის ვეგეტაციის პერიოდს 1-2 კვირით;
  - შეიცავს მცენარისათვის საჭირო ელემენტებს ადგილად ასათვისებელ ფორმაში;
  - ამცირებს შრომით დანახარჯებს, რადგან არ შეიცავს სარეველებს;
  - ამცირებს სათესლე მასალის ხარჯს, რადგანაც ბიოპუმუსის გამოყენებით იზრდება თესლის აღმოცენება;
  - ზრდის მცენარის მდგრადობას ავადმყოფობების, გვალვისა და ზედმეტი ტენიანობისადმი;
  - ამაღლებს ნიადაგის ბიოცენოზს;

კომპოსტში ძალიან მნიშვნელოვანია ეწ. პუმინის მეუღები, რომლებსაც ძალიან დიდი როლი ეკისრებათ კომპოსტირების პროცესში და წარმოიქმნებიან კომპოსტირების ბოლო ეტაპზე, როდესაც კომპოსტის გროვაში წარმოიქმნება ნიადაგის მიკროფლორა. დაკომპოსტების საუკეთესო მაგალითს ბუნება გვაძლევს - ტყეში ეს პროცესი ბუნებრივად მიმდინარეობს. ყველანაირი ორგანული ნარჩენები რომლებიც ტყეში არსებობს, ნიადაგის მიკროორგანიზმების ზემოქმედების შედეგად ტყის ნაყოფიერ მიწად გარდაიქმნება.

ეკოლოგიური მეურნეობა ბუნებაში არ-  
სებულ კანონზომიერებებს ეფუძნება - პულ-  
ტურული მცენარეებისათვის მაქსიმალურად  
ბუნებრივი პირობების შექმნა. ამ მიმა-  
რთულებით კომპოსტის დამზადებას და-  
ნიადაგში შეტანას უდიდესი მნიშვნელობა  
აქვს. კომპოსტი, ერთი მხრივ აუმჯობესებს  
ნიადაგის სტრუქტურას მის ქიმიურ და ფიზ-  
იკურ თვისებებს და მეორე მხრივ, უზრუნვე-  
ლყოფს მცენარეებს სასარგებლო საკვები  
ნივთიერებებით.

კომპოსტირების დროს ორგანულ მასაში მატულობს მცენარისათვის ადგილად შესათვისებელი საკვები ელემენტები (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი). ხდება პათოგენური მიკროფლორისა და კვერცხების განადგურება, მცირდება ცელულოზისა და პექტინების რაოდენობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საკვები ელემენტების მცენარისათვის ადგილად შესათვისებელ ფორმაში გადასვლის პროცესს.

კომპოსტირებისათვის გამოიყენება ის ორგანული ნარჩენები, რომლებიც უხვადაა ჩვენს მეურნეობებში. სრულფასოვანი კომპოსტისთვის აუცილებელია ისეთი ძირითადი კომპონენტები, როგორიცაა შინაური ცხოველების ან ფრინველის ნაკელი, ტორფი, ჩამდინარე წყლების ლამი, მატკლის ნარჩენები, ბუმბული, სამზარეულოს ორგანული ნარჩენები, ნაცარი, კვერცხის ნაჭუჭი და სხვა.

კომპოსტის დამზადების დროს არ შეიძლება გამოვიყენოთ!

- დააგადებული ან მავნებლებით ძლიერ დაზიანებული მცენარეები;
  - სოკოვანი დაავადებებით დასწოვანებული მცენარეები;
  - შხამიანი მცენარეები (ლენცოფა, კონიო, აბუსალათინი, ლემა) მათ შეუძლიათ გაანადგურონ ნიადაგში მცხოვრები სასარგებლო მიკროორგანიზმები;
  - მცენარეები, რომელთა დაშლის პროცესი სანგრძლივად მიმდინარეობს;
  - მცენარეები, რომელთაც ახასიათებთ დიდი მუავიანობა (ფიქვის წიწვი);
  - კატისა და ძაღლის ექსკრემენტები (შესაძლებელია პათოლოგიურ მიკროორგანიზმებს შეიცავდეს), რომლებიც ყოველთვის არ კვდებიან კომპოსტირების გროვის გახრწნის დროს;
  - დააგადებული ცხოველის ნაკელი ან სხვა ორგანული ნარჩენები;
  - მეტალი, პლასტმასი, შეჭმა, ნის დიდი ნაჭრები, დიდი რაოდენობით ქაღალდი.

**კომპიუტერის დამზადების ძირითადი პრინციპები:**

- კომპოსტისათვის ბადში უნდა შეირჩეს საშუალოდ დაჩრდილული აღგილი. იგი სახლიდან მოშორებით უნდა იყოს. საკომპოსტე მასის სიმაღლე 1-1,5 მეტრი, ხოლო სიგრძე ნებისმიერი შეიძლება იყოს.
  - შერჩეული აღგილი ბარით უნდა გაფხვიერდეს 30-60 სმ-ის სიღრმეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კარგი დრენაჟი.
  - კომპოსტი ფენა-ფენა მზადდება. პირველ ფენად ბუქჩარის ან ვაზის დაქცემდაცებული ანასხლავი, ფიჩები, თივა, ნამჯა, ჩალა ან სხვა ძნელად შლადი ნარჩენები უნდა დავაწყოთ.
  - შემდეგ ფენად გამოდგება ნებისმიერი ორგანული ნარჩენი: ნაფცექტები, ნაჭუჭი, ნაკელი, ჩამოცვენილი ფოთლები, სარეველა ბალახი და სხვა. ეს ყველა

ლაფერი 30-40 სმ-იან ფენად უნდა გაიშალოს.

- ამ მასას ზემოდან 5 სმ მიწის ფენა უნდა მოექაროს.
  - მიწას ზემოდან უნდა მოექაროს ნაც-რის ფენა.
  - ასეთი წყება უნდა განმეორდეს რამოდენ-იმჯერ, სანამ კომპოსტის გროვის სი-მაღლე 1-1,5 მეტრს არ მიაღწევს. გრო-ვას ზემოდან უნდა დავაფაროთ ნამჯა ან თივა ან ძელი ტომრები
  - შშრალ ამინდში კომპოსტი კვირაში ორ-ჯერ უნდა მოირწყას წყლით. კარგი იქნება თუ მოირწყვება ჭინჭრის ნაყენით.
  - 4-6 თვის შემდეგ კომპოსტი მზად იქნება. ამ პერიოდის მანძილზე კომპოსტს უნდა მოვაცილოთ ზედა საფარი და ნიჩბით ან ფირალით უნდა გადავ-აბრუნოთ, რათა კომპოსტის მასა ერთ-მანეთში კარგად გადაერიოს.
  - ძალიან კარგი იქნება კომპოსტს გადა-ბრუნების დროს თუ დაგუმატებთ ჭიაყელებს ან ქვის ფქვილს ან ძვლის ფქვილს.

კომპოსტირების პროცესის ოპტიმალური  
მიმდინარეობისათვის აუცილებელია  
შემდეგი დაქტორები:

- 1) კომპონენტის მასალის გარეთ აერაცია;
  - 2) ოპტიმალური ტენიანობა;
  - 3) მასალის მრავალფეროვანი ნარევი;

- 4) ნაცშირბადისა და აზოტის (C/N) ხელ-საყრელი თანაფარდობა;
- 5) კომპონეტირების საწყის ფაზაში ორგან-ული მასის დათბუნება (ნამჯით ან სხვა მასალით დაფარვა).

კომპოსტირების პროცესის მსგავს ელობის  
დაწყებისათვის მწვანე მცენარეული მასა  
მშრალზე უფრო ეფექტურია, რადგან მასში<sup>1</sup>  
დიდი რაოდენობითა აზოტი, რომელიც ხელს  
უწყობს ლპობის პროცესის დაწყებასა და  
შემდგომ მიმდინარეობას.

## კომპოსტის გამოყენება:

კომპოსტის ნიადაგში შეტანის წლიური დოზაა საშუალოდ 6კგ/1მ<sup>2</sup>-ზე. ეს რაოდენობა დაახლოებით სამ სავსე ნიჩაბს შეესაბამება. პუმუსით დარიბ ნიადაგში პირველ წელს საჭიროა მეტი კომპოსტის შეტანა (10-12კგ/1მ<sup>2</sup>). ჩითილების გამოსაყვანი ნიადაგის დამზადებისათვის კომპოსტი უნდა გაიცრას დაახლოებით 6 მმ ზომის საცერში. გაცრის შეძლება დარჩენილი მასალა კომპოსტის ახალი გროვის ძირში უნდა დაიყაროს. იგი კომპოსტირების პროცესს აჩქარებს. მისი გამოყენება წარმატებით შეიძლება ნიადაგის მულჩირებისათვისაც როგორც მრავალწლიანი ისე ერთწლიანი მცენარეების ქვეშ.

## ბესო კალანდაძე თხუ ასოცირებული პროფესორი

იმის გამო, დღეს რომ სოფლებში არ არსებობს ლეგალური ნაგავსაყრელები, სოფლის მოსახლეობას ნარჩენების გადაყრა მდინარის პირას, ხევებში ან დელებში უწევს. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი ბენარა ერთ-ერთია, იმ სოფლებს შორის, რომელთაც ნაგავსაყრელები არ აქვთ. „ჩვენი უბნის მცხოვრებლები ყველა სახის ნარჩენს ერთ პატარა ადგილზე ვჭრით. წვიმის დროს წყალს ნაგავი დაბლა ჩამოაქვს, იქ, სადაც ხალხს ნაკვეთები აქვს“, - ამბობს სოფელ ბენარის მკვიდრი ხოდარ მღებრიშვილი. მისივე თანასოფლელის რევაზ გოგიაშვილის თქმით, მოსახლეობა ნაგავს მდინარის პირასაც ყრის. ნარჩენების ნაწილი წყალს მიაქვს, ნაწილი კი ნიადაგში ლპება ან იქვე არსებულ ნათესებში იფანტება.

ანალოგიურ მდგომარეობაშია სოფელი ვარხეანიც. ადგილობრივები ამბობენ, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს დახოცილი შინაური ფრინველი და ცხოველიც ქმარება.

ასეთი შემთხვევა იყო გასულ წელს სოფელ  
ვარხანში. სოფლის მკვიდრის მზია დემ-  
ტრადის თქმით, დახოცილი შინაური ცხ-  
ოველები მდინარის ნაპირებზე იქამდე ეყარა,  
ვიდრე არ გაიხრწნა: „ამიტომ, არ არის გამორ-  
იცხული, რომ მავნე ნივთიერებებმა ნათე-  
სებშიც გაჟონა“.

რამდენიმე მცირე არალეგალური ნაგავსაყრელია სოფელ ხევაშენშიც, ერთი ვარხნისა და ხევაშენის დამაკავშირებელი ხიდის ახლოს, მდინარის პირას, დანარჩენები კი საძოვრების მახლობლად. „მე ნაგავს ეზოში ვწვავ, მაგრამ არიან ოჯახები, რომლებიც მდინარის პირას ან ბუჩქნარში ყრიან, იქ სადაც საქონელს ვაძოვებთ“, - ამბობს ხევაშენის მკვიდრი სიმონ ლომსიანიძე.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორ-  
ციუმის „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/“  
დედამიწის მეგობრებისა“ და მდგრადი გან-  
ვითარების კავშირი „ეკოსედვის“ ინფორმაცი-  
ოთ, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გა-

ტანის მხრივ სოფლებში მართლაც მძიმე მდგრმარეობაა. „სოფლის მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, ნაკლებ ნარჩენს წარმოქმნის, მაგრამ იმ მცირედი ნარჩენის შესაბამის ტერიტორიაზე განთავსებაც მოუგვარებელია. ამიტომ, ეს ნარჩენი საბოლოოდ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძირითადად კი დელებებში, ხევებსა და მდინარეებში იყრება, - ამბობს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ თანა-თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე.

მისივე განმარტებით, დარღვეულია უსაფრთხოების ყველაზე ელემენტარული მოთხოვნა - შემოღობვა, რის გამოც, ტერიტორიაზე ადგილად შედიან უცხო პირები და პირუტკები: „ადამიანები ნაგავსაყრელზე თვითნებურად აგროვებენ მინისა და პლასტმასის ბოთლებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ლითონებს. ლითონების შეგროვებისას კი აღრიცხულია აფეთქების ფაქტებიც, სავავალო შედეგებით“.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივი ოკითმართველობის ორგანოებს გეგმა არ გააჩნიათ. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელის სიმონ პარუნაშვილის თქმით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ნარჩენების გატანა და დასუფთავება მხოლოდ ადიგენსა და აბათუმანში ხდება: „იმის გამო, რომ სოფლის მოსახლეობა არ იხდის ნაგვის მოსაკრებელს, აღნიშნული სოფლებიდან ნაგვის გატანა არ ხდება“.



რა უნდა გაკეთდეს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად?

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეობრეები“-ს ინფორმაციით საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა-განთავსების სისტემა არ არსებობს, არ ფუნქციონირებს ნარჩენების გადამუშავების ინდუსტრია. გამომდინარე აქციან, არც ნარჩენების დახარისხებას ექცევა არანაირი ყურადღება. აღნიშნული ორგანიზაცია არსებული მდგრმარეობის გამოსასწორებლად საჭიროდ მიიჩნევს ნარჩენების მართვის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას.

„ნარჩენების შესახებ“ კანონის მიღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთ პრობლემის მოგვარებას, როგორიცაა საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების კლასიფიკაცია, შეგროვება, სახელმწიფო აღრიცხვება-ანგარიშების სისტემის ჩამოყალიბება, ტრანსპორტირება, რეციკლირება და ხელახალი გამოყენება. ასევე, მათი განთავსების საკითხები“, - ამბობს ნინო ჩხობაძე. მისივე თქმით, კანონი ასევე დაავალდებულებს შესაბამის მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს გაატარონ ის აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც შექმნიან შესაბამის გარემოს ნარჩენების სწორი მართვისთვის.

გარდა ამისა ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ნარჩენებთან მიმართებაში შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება. აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობის მონაწილეობა, ამაზე შვედეთის გამოცდილებაც მიუთითებს.

დღეისთვის შვედეთი, მოფლიოში ნარჩენების მართვაში ერთ-ერთი აღიარებულ ლიდერად ითვლება. პრობლემასთან ბრძოლას ქვეყანამ 20 წელი მოაწყობა. თავდაპირველად შემუშავდა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია, რომლის შესრულებაშიც სახელმწიფო სტრუქტურებსა და სპეციალურ სამსახურებთან ერთად აქტიურად ჩაერთო მოსახლეობაც.

ამისთვის კი მოსახლეობა ნარჩენებს ოჯახებში, ეზოებში, ოფისებში, სკოლებში და სხვადასხვა დაწესებულებებში ახარისხებს. დაბარისებული ნარჩენის 97% მიღის ქარხნებში, ხოლო 3 % კარგად დაცულ და ტექნიკურად გამართულ ნაგავსაყრელებზე ხვდება.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი ხერხია ნარჩენების გონივრული გამოყენება. ამისთვის კი შემუშავდა ნარჩენების მართვის თანამედროვე ევროპული სისტემა „ნარჩენების იერარქია“, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მოხმარებული პროდუქტებისგან მაქსიმალური პრაქტიკული სარგებლობისა და მინიმალური ნარჩენის მიღება. რასაც საფუძვლად უდევს 3დ-ის პრინციპი. ნარჩენების იერარქიის ევროპული მოდელი 5 ძირითადი კომპონენტისგან შედგება: შემცირება, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად და ნარჩენების განთავსება.

შემცირება ეს არის პროცესი, რომელიც მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: ელექტროენერგიისა და წყლის რესურსების გონივრული ხარჯვა. მაგალითად წყიმის წყ-



**პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოზედვა“-ს მიერ.**

ამაღლება და



ლის კონტენტების გამოყენება, უფრო ხანმოჭლე შხაპის მიღება, დაბალხარჯიანი საპირფარეშოები, გამართული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები და სხა.

ხელახალი გამოყენება გულისხმობს უკვე მოხმარებული ნივთების განმეორებით ან ახალი დანიშნულებით გამოყენებას. საჭირო და კარგ მდგრმარეობაში მყოფი ნივთების გაცვლა ან ხელახალი გამოყენება. რაც ზოგავს დორს, ფულს ენერგიას და რესურსებს. მაგალითად რძის მიწოდება ბოთლებში, რომელთა ხელახალი გამოყენება შესაძლებელია.

გადამუშავება გულისხმობს გამოყენებული ნივთის ან ნარჩენის გადამუშავების სხვა პროდუქტად, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს წარმოებაში. მაგალითად გამოყენებული საოფისე ქაღალდი გარდაიქმნება ახალ ქაღალდად.

ენერგიის დაზოგა გადამუშავებაზე დახარჯული ენერგიის ოდენობა დამოკიდებულია გადასამუშავებელი მასალის რაობასა და გადამუშავების პროცესზე. მიღებულია, რომ ალუმინის გადასამუშავებლად საჭიროა ბევრად ნაკლები ენერგია, ვიდრე მის საწარმოებლად. ამერიკის შეერთებული შტატების გარემოსდაცეითი სააგანტოს ცნობით, „ალუმინის ნაწარმის გადამუშავებისას ხორციელდება ენერგიის 95% ეკონომია, ქაღალდის გადა

ამუშავება უფრო ეკონომიურია ენერგიისა და წყლის ოვალსაზრისით, ვიდრე ხების მოჭრა, დამუშავება და ტრანსპორტირება.

საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად საქართველოშიც არაერთი ღონისძიება ტარდება. 1992 წელს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით, საფუძვლი ჩაეყარა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს გარემოსდაცვით კამპანიას – „დავასუფაოთ მსოფლიო!“ აღნიშნული კამპანია აღიღილობრივი გარემოს გაუმჯობესების მიზნით, აერთიანებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბიზნეს სექტორს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სკოლებს და ცალკეულ პირებს ფართომასშტაბიანი აქციების და პროგრამების განსახორციელებლად. კამპანია ყოველწლიურად სექტემბრის თვეში ტარდება და მასში მონაწილეობას 120 ქვეყანა იღებს. 2010 წელს აღნიშნულ კამპანიას საქართველოც შეუერთდა და თითქმის ყველა რაიონში ჩატარდა კამპანია: ‘დავასუფთაოთ მსოფლიო! დავასუფთაოთ საქართველო!“ აღნიშნულ კამპანიას ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოზედვა“, აღიღილობრივ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად.

**მანანა სარაშვილი  
ახალციხე**



**პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ხორციელდება შევდეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური უზრუნველყოფით**



**პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხარდაჭერით**

რედაქტორი: ლელა ყაჭეიშვილი  
დიზაინი: ირაკლი გულედანი  
გამოცემაზე მუშაობდნენ: მაია კაპანაძე, ლელა ყაჭეიშვილი

**საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო  
საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №10ა  
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge  
Web-გვერდი: www.greens.ge www.cleanup.ge**